ვამტკიცებ
შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი: /თამარ მაისურაძე/

ბრძანება: №64 15.09.2021

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

მუხლი1. ზოგადი დებულება

1.1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანო, სკოლის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს მომდევნო სასწავლო წლის თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.
1.2. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან.
1.3. მოსწავლეები სახელდებიან კლასების მიხედვით ყოველი სასწავლო წლის დაწყებიდან ერთ თვის ვადაში, თითეული კლასიდან სამი მოსწავლის ოდენობით. არჩეული მოსწავლეები თავის შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს.
1.4. მოსწავლეთა თვითმმართველობა ვალდებულია თვისი საქმიანობა წარმართოს ამ დებულების საფუძველზე და მის შესაბამისად შეიტანოს წვლილი მოსწავლეთა განვითარებაში.

მუხლი 2 მიზნები და ამოცანები

2.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებას და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობას.
2.2 მოსწავლეთა თვითმმართველობა თავის უფლებამოსილობის ფარგლებში:
ა) იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;
ბ) თანამშრომლობს სხვა საგანმანათლებლო სასწავლო და სპორტულ/კულტურულ დაწესებულებებთან;
გ) მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 47, პუნქტი 1) და დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
2.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძრითად მიზნებს წარმოადგენს:

- მოსწავლეთა პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა და სკოლის მმართველობით ორგანოების ინფორმირება;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის განვითარებისათვის;
- თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის მიერ ოჯახის საზოგადოების სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა;

მუხლი 3. თვითმმართველობის დაფინანსება

მოსწავლეთა თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:
1. სკოლის ბიუჯეტი;
2. მოსწავლეთა მიერ მოპოვებული გრანტები, შემოწირულობები;
3. სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები;

მუხლი 4. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეს არჩევის წესი

4.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს თვითმმართველობას;
4.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღს ნიშნავს სკოლის დირექტორი;
4.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობას ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

მუხლი 5. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის ფუნქციები

მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე:
ა) ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობას;
ბ) წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას სკოლის დირექციასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
გ) კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბების საქმიანობას;

მუხლი 6. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

6.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) მოსწავლის სტრატუსის შეჩერება/სკოლიდან ამორიცხვა/ სწავლის დასრულება;
გ) სკოლის შინაგანაწესის ან წინამდებარე დებულების წესების უხეში დარღვევა;
დ) არასაპატიო მიზეზით 2 თვის განმავლობაში მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა;
6.2.მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოსწავლეთა თვითმმართველობა დარჩენილი წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით;

მუხლი 7. მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის წესი

7.1. მოსწავლეთ თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს ხმათა უმრავლესობით არჩეული მოადგილე;
7.2. თვითმმართველობის პირველი სხდომა იმართება მოსწავლეთა თვითმმართველობის მოადგილისა და მდივნის არჩევასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის მიერ საჭიროების მიხედვით.

მუხლი 8. თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები

8.1თვითმმართველობა დასახული მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს;

- ✓ შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ თანამშრომლობს დირექციასთან და სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ათანხმებს მასთან;
- ✓ იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ უფლებებს, საჭროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან;
- ✓ ხელს უწყობს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- ✓ შუამდგომლობას აყენებს სკოლის დირექტორთან წარმატებული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით;
- ✓ გეგმავს გამოფენებს სკოლის ტერიტორიაზე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით;
- ✓ შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით;
- ✓ დირექტორს წარუდგენს წინადადებას სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
- ✓ წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს და ირჩევს მათ ხელმძღვანელებს;
- ✓ საშუალო საფეხურზე ირჩევს თავის წარმომადგენელს სკოლის დისციპლინარულ კომიტეტში;

მუხლი 9 დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

9.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებას ამტკიცებს სკოლის დირექტორი;
9.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხდება კანონდებლობით დადგენილი წესით სკოლის დირექტორის მიერ.